



ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის მაისში საქონლის ექსპორტი წლიურად 5.7%-ით შემცირდა და 510.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 12.7%-იანი კლების შემდეგ. იმპორტი წლიურად 4.9%-ით შემცირდა 1.3 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 13.8%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 4.4%-ით შემცირდა 754.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ჯამურად, 2024 წლის იანვარ-მაისში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 7.1%-ით გაიზარდა და 3.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 9.2%-ით შემცირდა 2.3 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 0.5%-ით გაიზარდა და 6.1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 64.4%-ით შემცირდა და 201.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული შემცირება განაპირობა სააქციო კაპიტალის შემცირებამ (-46.6% წ/წ), რაც გასული წლის მაღალი ბაზით იხსნება (2023 წლის I კვარტალში განხორციელდა Indorama-ს მიერ რუსთავის აზოტის შესყიდვა) და რეინვესტიციის კომპონენტის წლიურად 17.3%-იანმა კლებამ. ამასთან, ტექნიკურად საფინანსო სექტორის ინვესტიციების შემცირებამ გავლენა ჰქონდა ამერიკა ბანკის შესყიდვას.

2024 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: ელექტროენერჯის მიწოდება (78.7 მლნ აშშ დოლარი, +21.4% წ/წ), ვაჭრობა (39.5 მლნ აშშ დოლარი, -56.5% წ/წ), ტრანსპორტი & დასაწყობება (38.8 მლნ აშშ დოლარი, -10.4% წ/წ) და დამამუშავებელი მრეწველობა (25.3 მლნ აშშ დოლარი, -88.8% წ/წ).

პირველ კვარტალში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ თურქეთი (42.4 მლნ აშშ დოლარი), ჩეხეთი (41.5 მლნ აშშ დოლარი), აშშ (33.7 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (33.7 მლნ აშშ დოლარი).


სავალუტო ინტერვენციები: 2024 წლის 11 ივნისს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 60 მლნ აშშ დოლარი გაყიდა ერთჯერადი მსხვილი ტრანზაქციების შედეგად ბაზრის მოლოდინებზე უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით. ეს იყო წელს მე-3 სავალუტო აუქციონი დოლარის გაყიდვის მიმართულებით (სულ 168.7 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, სებ-ი უცხოური ვალუტის წმინდა შემსყიდველი იყო იანვარ-აპრილში BMatch პლატფორმაზე 286.6 მლნ აშშ დოლარის ოდენობით (მაისის მონაცემი ხელმისაწვდომი ჯერ არ არის). ამის გათვალისწინებით, სებ-ი უცხოური ვალუტის წმინდა შემსყიდველია 90 მლნ აშშ დოლარის ოდენობით წლის დასაწყისიდან, ჩვენი შეფასებით.

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2023	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	23,344	24,648
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,210	8,616
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	3.0%
საერთ. რეზერვები (მლნ აშშ \$)	5.0	4.8
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.3%	5.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.2%	38.4%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაბარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით, 1Q24





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 11 ივნისს 10-წლიანი 30 მლნ ლარის (10.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.077პპ-ით გაიზარდა და 9.077% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 11 ივნისს 1-წლიანი 20 მლნ ლარის (7.0 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.115პპ-ით შემცირდა და 7.948% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 11 ივნისს, სადაც 7.1-წლიანი 75 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალიანობა	გამომშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	290	240	410
1 წელზე მეტი	1,410	1,935	8,022
სულ	1,700	2,175	8,432


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2024 წლის მაისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	91.39	7.85	325.45
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/-	88.14	7.49	340.16
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/-/B2	97.77	10.07	605.58
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	99.88	8.42	405.70
TBC 10.775 PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/-	99.91	10.85	549.55
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/-/-	95.30	10.99	662.34
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/-/B2	98.40	10.64	654.68

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-/B+	n/a	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-/-	99.92	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-/-	99.97	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-/-	100.00	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/B+	99.99	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-/-	99.99	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	99.77	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-/-	101.08	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-/-	100.91	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.63	8.75
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.61	8.75
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	99.77	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	99.63	7.25
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	100.37	6.50
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-/-	99.60	7.25
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
GEL								
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-/BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/-/-/-	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-/B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/B-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/B-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 37.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.34% წინა კვირასთან შედარებით და -19.70% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1.36 მილიონ აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 36.35 - 39.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 164 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 23.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.14% წინა კვირასთან შედარებით და -19.66% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 557 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 23.00 - 25.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 87 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 8.64 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.69% წინა კვირასთან შედარებით და -20.00% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 931 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.30 - 8.72 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 168 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	R თვე	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	37.90	1,728	9.4%	29.4%	-4.7%	4.36x	3.65x	3.68x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	23.70	1,313	-14.6%	-5.4%	-16.3%	4.78x	3.90x	3.24x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	17.46	4,761	22.1%	30.7%	15.2%	2.57x	2.75x	2.71x	0.72x	0.84x	0.72x
Akbank	AKBNK	TRY	61.10	317,720	59.4%	232.6%	67.3%	2.86x	4.42x	2.89x	0.90x	1.21x	0.87x
Garanti	GARAN	TRY	104.90	440,580	67.8%	257.8%	79.8%	2.84x	4.85x	3.29x	1.00x	1.43x	1.04x
Isbank	ISCTR	TRY	16.18	404,500	68.4%	205.5%	73.2%	3.23x	4.57x	2.92x	0.87x	1.25x	0.87x
PKO	PKO	PLN	57.30	71,625	15.8%	61.0%	13.9%	11.44x	6.99x	7.09x	1.39x	1.40x	1.31x
PEKAO	PEO	PLN	155.75	40,880	4.6%	39.1%	2.4%	6.07x	6.52x	6.91x	1.32x	1.28x	1.21x
Millennium	MIL	PLN	8.02	9,729	-1.0%	70.1%	-4.0%	17.78x	3.68x	4.23x	1.47x	1.36x	1.13x
Mbank	MBK	PLN	585.00	24,842	8.7%	48.4%	9.3%	na	4.83x	5.59x	1.65x	1.65x	1.24x
BRD	BRD	RON	19.00	13,241	7.7%	52.2%	6.0%	7.62x	9.04x	9.34x	1.42x	1.39x	1.31x
Banca Transilvania	TLV	RON	31.50	25,158	33.7%	84.2%	29.8%	7.76x	8.66x	8.22x	1.82x	1.75x	1.50x
Komercni	KOMB	CZK	763.00	145,008	7.2%	13.8%	5.3%	8.76x	9.45x	9.15x	1.09x	1.16x	1.14x
Mean								6.67x	5.64x	5.33x	1.23x	1.34x	1.12x
Median								5.43x	4.83x	4.23x	1.19x	1.36x	1.14x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდება რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)